საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №61-ში (ს.კ. № 01.18.06.005.034), ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

საექსპერტიზოდ წარმოდგენილია ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა №61-ში (ს.კ. №01.18.06.005.034) ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები, შენობის მზიდი კონსტრუქციის, როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშება და აგრეთვე პროექტის არქიტექტურული ნაწილი.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია შპს "კუბიკონი"-ს მიერ (წამყვანი კონსტრუქტორი შ. მდინარაძე). ქალაქის სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით სამშენებლო მოედანი განეკუთვნება 8 ბალიან ზონას, ქარის ნორმატიული სიჩქარე – 24 მ/წმ, ქარის ნორმატიული დაწოლა - 33 კგ/მ^2. თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50კგ/მ^2.

მრავალფუნქციური კომპლექსი შედგება ოთხი ნაწილისგან (ბლოკი - A; ბლოკი - B; ბლოკი - C; ბლოკი - D), რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილია ანტისეისმური ნაკერებით.

ბლოკი – A მიწისზევით 17 სართლიანია, ხოლო მიწისქვევით ორ სართულიანია ავტოსადგომებისთვის. გეგმაში რთული მოხაზულობისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით ღერძებში 35.80x36.00 მ. საძირკვლის ფილის სისქე აღნიშნული ბლოკის ქვეშ 140 სმ-ია, რომლის თავის ნიშნულია -6.10 მ. (384.4 მ.)

ბლოკი – B მიწისზევით 12 სართლიანია, ხოლო მიწისქვევით ორ სართულიანია ავტოსადგომებისთვის. გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით ღერძებში 25.00x19.30 მ. საძირკვლის ფილის სისქე აღნიშნული ბლოკის ქვეშ 100 სმ-ია, რომლის თავის ნიშნულია -5.10 მ. (385.4 მ.)

ბლოკი – C მიწისზევით 12 სართლიანია, ხოლო მიწისქვევით ორ სართულიანია ავტოსადგომებისთვის. გეგმაში გესებრი მოხაზულობისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით ღერძებში 45.00x37.40 მ. საძირკვლის ფილის სისქე აღნიშნული ბლოკის ქვეშ 100 სმ-ია, რომლის თავის ნიშნულია -2.10 მ. (388.4 მ.)

ბლოკი – D მიწისქვევით ორი სართულიანია ავტოსადგომებისთვის. გეგმაში რთული მოხაზულობისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით ღერძებში 45.00x37.40 მ. საძირკვლის ფილის სისქე აღნიშნული ბლოკის ქვეშ 50-100 სმ-ია, რომლის თავის ნიშნულია -5.10 მ. (385.4 მ.)

კონსტრუქციული თვალსაზრისით მრავალფუნქციური კომპლექსი ხისტკვანძებიან მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიან სისტემას წარმოადგენს. მონოლითური რკინაბეტონის სვეტების კვეთები ცვლადია შენობის მთელ სიმაღლეზე. სართულშუა გადახურვები ხორციელდება მონოლითური რკინაბეტონის 16-22 სმ-იანი სისქის რიგელიანი ფილებით. რიგელების განივი კვეთებია 40x50 სმ. მონოლითური რკინაბეტონისაა აგრეთვე ყველა კიბის კონსტრუქცია. შენობას სეისმური დატვირთვების მისაღებად გააჩნია მძლავრი რკინაბეტონის დიაფრაგმები, რომლებიც ძირითადად განლაგებულნი არიან სიმეტრიულად. გარე კედლები (კარკასის შევსება) და ტიხრები გათვალისწინებულია მსუბუქი ბეტონის ბლოკებისაგან. კონსტრუქციებისთვის ბეტონის სიმტკიცის კლასი “B-30”-ია, ხოლო არმატურის კლასი A500C, AC-I.

პროექტის მიხედვით საძირკველი წარმოადგენს სხვადასხვა კვეთის მქონე მთლიანკვეთიან ფილას რომლის საშუალებით ეფუძნება ფენა №2-ს (იხ. გეოლოგიური ელემენტი I სგე), ელუვიურ-დელუვიურ თიხნარ ღორღოვან გრუნტს, რომლის პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0=250 კპა. (2.5 კგძ/სმ^2.) დეფორმაციის მოდული E=16 მპა. (160 კგძ/სმ^2.) სიმკვრივე P=1.95 გძ/სმ^3. ხვედრითი შეჭიდულობა C=25 კპა. (0.25 კგძ/სმ^2.) შინაგანი ხახუნის კუთხე φ=21˚. პუასონის კოეფიციენტი μ=0.35. სამშენებლო მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა ჩატარებულია შ.პ.ს. “გეოინჟკომპლექსი”-ს მიერ.

სამშენებლო ტერიტორია დამრეცია, ქვაბულის ფერდები ეწყობა ბუნებრივი დახრის კუთხით. იქ სადაც ვერ ხერხდება ბუნებრივი დახრის კუთხით ქვაბულის მოწყობა ქვაბულის კედლები გაძლიერებულია რკინაბეტონის ხიმინჯის მწკრივით.

შენობის გაანგარიშება შესრულებულია სასრულ ელემენტთა მეთოდით, ЛИРА-САПР 2013 R3-ის გამოყენებით, სამშენებლო ნორმები და წესები “სეისმომედეგი მშენებლობა”(პნ 01.01–09) გათვალისწინებით.

შენობის მზიდი ელემენტების კონსტრუირებას საფუძვლად უდევს მისი, როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშების შედეგები მუდმივ და დროებით ხანმოკლე ვერტიკალურ დატვირთვებზე, ჰორიზონტალურ სეისმურ ზემოქმედებაზე და მათ საანგარიშო თანწყობაზე. საანგარიშო სქემაში საძირკვლის ფუძის გრუნტების მუშაობა ჰორიზონტალური მიმართულებით გათვალისწინებულია დრეკადი ბმების გათვალისწინებით. შენობის საანგარიშო მოდელი დაპროექტებისათვის მისაღები სიზუსტით შესაძლოდ სრულად აღწერს ნაგებობის მუშაობის სურათს.

უნდა აღინიშნოს საექსპერტიზოდ წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესრულების მაღალი დონე, როგორც შინაარსობრივად, ასევე გაფორმებით. პროექტით გადმოცემული ინფორმაცია არის სრული და ადვილად აღსაქმელი. მუშა ნახაზებში მოცემულია შენობის ჩონჩხედის ელემენტების სქემები; კონსტრუქციების დაარმატურებები; დამახასიათებელი დეტალები და კვანძები; მოყვანილია გამოყენებული მასალების სპეციფიკაციები. ამდენად, დამპროეტებელ კონსტრუქტორთა მიერ ხორციელდება ცნობილი კონსტრუქციული გადაწყვეტების მისადაგება-მორგება არქიტექტურულ-გეგმარებით გადაწყვეტებთან, ადგილობრივ მეტეოროლოგიურ, გეოლოგიურ და სეისმოლოგიურ პირობებთან.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ექსპერტიზის ჩატარების პროცესში პროექტის ავტორის მიერ გათვალისწინებული იყო ექსპერტის შენიშვნები და სათანადო კორექტივები შეტანილი იყო პროექტში.

დასკვნა

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №61-ში (ს.კ. 01.18.06.005.034) ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება და ეძლევა რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

ექსპერტი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი ნუგზარ მაისურაძე

cooh@cheerful.com

577-79-33-84

16.04.2020 წ.

პერსონალური & საკონტაქტო მონაცემები:

გვარი და სახელი: ნუგზარ მაისურაძე

დაბადების თარიღი : 03.01.1939

დაბადების ადგილი: ქ. თბილისი

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

მისამართი: ქ. თბილისი, ი. ნიკოლაძის ქ. №4, ბინა: 3

ტელეფონი: *2226362 ; 577793384*

ელ. ფოსტა: cooh@cheerful.com

განათლება:

1959-1967 - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამშენებლო ფაკულტეტი

1947-1958 - ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლა

სამუშაო გამოცდილება:

1959-1960 - "თბილქალაქმშენის" №3 სამშენებლო სამმართველო. მუშა

1960 - 1961 - "თბილქალაქმშენის" №10 სამშ. სამმართველო. მე-4 თანრიგის მუშა.

1961 -1963 - ქ. თბილისის აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს სამშენებლო სამმართველო. რიგადირი.

1963 - 1967 - "თბილწყალსადენი" №1 უბნის კონტროლიორი.

1967 -1969 - საპროექტო ინსტიტუტი "თბილქალაქპროექტი" უფროსი ინჟინერი.

1969 - 1971 - საპროექტო ინსტიტუტი "გრუზგიპროტორგი" უფროსი ინჟინერი.

1971 - 1982 - ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოს საპროექტო სახელოსნო. პროექტის მთავარი ინჟინერი.

1982 - 2001 - საპროჭტო ინსტიტუტი "თბილზნიიეპი" მე-2 არქიტექტორული სახელოსნოს მთავარი კონსტრუქტორი.

2002 - 2005 - შ.პ.ს. "დელტაპროექტი" მთავარი კონსტრუქტორი

2005 წლიდან – პენსიონერი.

პროფესიული გამოცდილება.

დაპროექტებული მაქვს მრავალი სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტები ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ქ. თბილისში მ. მესხის სახელობის სტადიონი, საცხოვრებელი სახლი კოსტავას ქუჩაზე. ღკინისგზის სადგურები ქ. ხაშურში და ქ. ბათუმში.

ინჟინერი ნ. მაისურაძე.

დიპლომი

Ц № 016430

ეს დიპლომი მიეცა ნუგზარ იაკობის-ძე მაისურაძეს მასზე, რომ იგი 1958 წელს შევიდა ლენინის სახ. საქ. შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1967 წელს დაამთავრა სრული კურსი სპეციალობით „სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა“

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1967 წ. „11“ მარტის გადაწყვეტილებით მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1967 წ. „30/III“

სარეგისტრაციო № 13563

Грузинский яз.

ДИПЛОМ

Ц № 016430

Настоящий диплом выдан Маисурадзе Нугзару Яковлевичу в том, что он в 1958 году поступил в Тбилисский ордена Трудового Красного Знамени политехнический институт имени В. И. Ленина и в 1967 году окончил полный курс названного института по специальности „Промышленное и гражданское строительство“

Решением Государственной экзаменационной комиссии от „11“ марта 1967 г. Маисурадзе Н. Я. присвоена квалификация инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „30“ III 1967 г.

Регистрационный № 13563

Московская типография Гознака. 1966.



საქართველო

მოქალაძის პირადობის მოწმობა

პირადი № 01009018592

სახელი ნუგზარ

გვარი მაისურაძე

დაბადების თარიღი 03.01.1939

დაბადების ადგილი თბილისი

№ ბ 1231059

პირადი ხელმოწერა



მისამართი თბილისი ია.ნიკოლაძის ქ. N 4

მოქმედების გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახური

გაცემის თარიღი 20.10.2008

მოქმედების ვადა უვადო

რეგისტრაციის თარიღი 20.10.2008

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა